

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გულდასმით განიხილვენ ეიტომირის ოლქის ჩერ-
ნიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლურის, სოციალისტური
შრომის გმირის ნ. გ. ზაგლადას სტატიას — „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელთა
ღირსებას“. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე სასტიკად ამართახებენ და სამარცხვინო
ბოძზე აკრავენ სიმულანტებსა და ზარმაცებს.

ქვეყნული
ბიზლირთხვა



— მხედველობა მაკლიაო, რომ გაიძახი და სამუშაოდ არ დადიხარ, რა წა-
მალი გამოგიწერა ექიმმა?
— თვალები ძილისა და ღვინის სმისაგან გაქვს დასიებული და რეცეპტს
კოლმეურნეობის საერთო კრება გამოგიწერსო!


№ 18 თბილისი სეპტემბერი 1962

ბიზლი

ბაზოცემის 39-40 წელი, ღარი 20 კავ.

Handwritten signature: K. Kokiashvili

ნახ. ა. კანდელაკისა



შენგვედრა ზესტაფონში

— სევასტი, ჩვენმა გუნდმა ჩამეიტანა თასი, არა?

— აბა რავა, შე კაცო, სამი დღე ტყვილა იყო მთელი ზესტაფონი იქანა

თბილისში!

ისწავლა, გახდა მედიკოსი
ჩვენი სოფლელი მახარა,
ღვინის სარდაფში მოეწყო,
სოფელს დებეშით ახარა.

ეს ჩვენი პარიკმახერი
მონდომებული კაცია,
სულ ჩემ ლოყაზე ისწავლა
„მზრალად ხენა, კულტი-
ვაცია“.

ჩვენი „ხილბოსტანვაჭრობა“
„სრულყოფილ ტემპებს“
აჩალებს,
სალ ხილს მიიღებს,
დაალობს
და მერე დამპალს ასაღებს.

მართას ექიმმა ურჩია
სათვალეების ტარება,
„ჩარჩო“ რომ ვერსად იშოვა,
დურბინდით დაიარება.

ბრ. ჩიქვილაძე

მე დელისელი ვარ, ახალი უზნის მკვიდრი!

როცა ორდერით ბინა მომცეს და დამასახლეს, მითხრეს: „იყავ გახარებულ, რამეთუ ეს უბანი იქნება ქალაქში ყველაზე კეთილმოწყობილ და გაბრწყინებულ“. დამასახლეს ოთხ კედელს შორის და სხვადასხვა ორგანიზაცია ორი წელია მპირდება „უფრო კეთილმოწყობილს“. მპირდებიან და ამდენი დაპირების შემდეგ ირკვევა, რომ ჩემი კვარტალი ქალაქი კი არა, თურმე რაღაცა... ქალაქის ფილიალია.

მე დელისელი ვარ! ჩემი უბანი მთელ წელიწადს თხოულობდა სასურსათო და სხვა მალაზიებს. როგორც იყო, გახსნეს მალაზიები სურსათის, სამრეწველო საქონლის, ხილ-ბოსტონის და თბილკოვპეაქრობისა. მაგრამ, მეორე დღესვე გამოირკვა, რომ სამრეწველო საქონლის მალაზია „ორსართულიანი უნივერსალის“ ფილიალია, „ხილბოსტანი“ — „ხილბოსტონის“, ხილო „თბილკოვპეაქრობის“ კიოსკიც თურმე დიდი მალაზიის ფილიალია. რაღაცა ფილიალის მსგავსი გამოდგნენ აგრეთვე, სასურსათო მალაზიებიც, რომლებიც თბილკევეპეაქრობას ეკუთვნებენ. სამრეწველოში ის საქონელი დამიწყეს, რომელიც „ორსართულიანში“ ვერ გასადდა, „ხილბოსტანში“ და „კოვპეაქრობაში“ ის მოიტანეს გასაყიდად, რაც ძირითად მალაზიებს მორჩათ, ხოლო პურს მანამდე ვერ ვყიდულობ, ვიდრე „თბილკეპეაქრობა“ საკუთარი სისტემის მალაზიებს ხაირ-ნაირი ხარისხისა და ფორმის პურით არ მოამარაგებს, რომ, თავისუფალ დროს, სხვა სისტემის მალაზიები გაახაროს.

მე დელისელი ვარ! მოწყვეტილი ვახლავართ რკინიგზის სადგურსა და პლენანოვის პროსპექტს. წელიწადზე მეტია მპირდება ავტოტრანსპორტის კანტორა, რომ, მიიღებს თუ არა ახალ ავტობუსებს, ახალ მარშრუტებს დამინიშნავს. ველოდები გაფაციცებით. მიიღო კანტორამ ავტობუსები და დანიშნა ახალი რეისი წრიული მარშრუტით (№ 47 და 47ა). ეს წრე ძველი ქალაქის მიჯნაზე წყდება, სპეციალისტების სახლთან, ავტობუსები ყოველთვის ცარიელია, კონდუქტორები ლამისაა მალარიის დაპირდნენ მგზავრს, რომ შიგ როგორმე ჩასვან და ავტოკანტორა კი ვერ ბედავს ამ წრის ჩემამდე გაგრძელებას, რადგან ჩემი უბანი, თურმე, წრეგადასულია.

მე დელისელი ვარ! მეორე წელიწადია მპირდებიან, რომ ჩემს კვარტალეებში ტროლეიბუსს პირველ რიგში გამოიყვანენ, მაგრამ დღემდე ვერ გამოვარკვეე, თუ რამდენი წლის შემდეგ

ექტრობს ტროლეიბუსის სამმართველო, მეორე რიგში სხვა უბანში ტროლეიბუსის გაყვანას.

მე დელისელი ვარ! მეორე წელიწადია მპირდებიან, რომ სამ თვეში ტელეფონი მექნება. ერთ მშვენიერ დღეს იმსაც კი მოვკარი თვალი, რომ რაღაც ბრჭყვიალა დიდი ბორბალი ტელეფონის ხაზებს მარხავდა ნიწაში. მაგრამ სულ მალე მოვიღველექტრობობების ჩამყრელი ბრიგადა, მოიტანა რაღაც ამომთხრელი მანქანა და ბურღი სწორედ იქ ჩასცა, სადაც ტელეფონის ხაზები ეწყო. ბურღმა ერთიანად მიგლიჯ-მოგლიჯა ეს ხაზები და ახლაც მპირდებიან, რომ მე სამ თვეში ტელეფონი მექნება.

მე დელისელი ვარ! ორი წელიწადია მიშენებენ წყალსაცავს და ყოველდღე მპირდებიან, რომ სამ თვეში მზად იქნება იგი. შემოდგომასა და გაზაფხულზე, როცა მუშაობის ნამდვილი დროა, 7--8 კაცი დადოდავს ამ ობიექტზე, ზაფხულში გაიძახიან, წყალი არა გვაქვს, რკინა-ბეტონზე როგორ ვიმუშაოთო და „ინჟინერი“ ორი წელია მპირდება, რომ სამ თვეში წყალსაცავი მზად იქნება.

მე დელისელი ვარ! სამი წელია მპირდებიან, რომ სულ მალე ცხელი წყალი მექნება. გადის თვეები, კვარტალები, წლები და „სანტექმონტაჟის“ სამმართველომ ჩემს კვარტალებში „მზრალი“ შხაპის დამონტაჟებაც ვერ მოახერხა.

მე დელისელი ვარ! ჩემი კვარტალების ზოგიერთ სახლს, პროექტის საწინააღმდეგოდ, ლოჯის მაგიერ, ღია აივანი მიაშენეს. ამ აივანზე გამოსული, საბურთალოს ცნობილმა ქარმა რომ არ წამიდოს, მეორე წელია ოფიციალურად მოგიტხოვ ლოჯის საკუთარი სახსრებით მიშენებას, მაგრამ ჩემს ჯიბეს იმდენად უფრთხილდებიან, რომ დღემდე დადებითი პასუხი ვერ მივიღე.

მე დელისელი ვარ! მაგონდება ის სანეტარო დღე, როცა ბინაში პირველად ჩამასახლეს. ელექტროგაყვანილობიდან დაწყებული წყალგაყვანილობამდე ყველაფერი მინგრეულ-მონგრეული დამიხვდა ხელოსნის მიერ და, როცა იმავე ხელოსანს რემონტისათვის დავუბახე, ფულს შევპირდი და საყვედურიც მივართვი, ასე მიპასუხა:

— ვა, ამხელა ბინა უფასოდ მიიღე და კიდევ ხმას იღებ?! მე დელისელი ვარ...

ბ. ივანიშვილი



რას არ მოიგონებენ მძღოლების საწვალეზლად და სადავიდარაზოდ, ხან ქალაქების ქუჩებსა და საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესებს შეცვლიან, ხან საგზაო-სასიგნალო ნიშნებს კიდევ ახალ ნიშნებს მოუმატებენ და ხელახლა მოითხოვენ მის ჩაბარებას.

ვინ მოთვლის რამდენი დავიდარაბა სჭირდებათ მძღოლებს, რომ მესამე კლასიდან მეორეში გადავიდნენ, მეორედან პირველში, მით უმეტეს, ზოგიერთებს, რომლებიც სკოლაში თვითონ კლასში 2-3 წელიწადს ისხდნენ, როგორც თვითონ ამბობენ, მიღებული ცოდნის გასამტკიცებლად. ასეთ მდგომარეობის დროს რომ კაცს ხელს გამოვიწვდიან, განა არ არის დასაფასებელი? სწორედ რომ ძვირფას საქმისათვის ძვირ ფასსაც უხდიდნენ მძღოლები მათ მხსნელად მოვლენილ სურენ ავაქის ძე მალხასიანს. სურენმა მოძრაობის ახალი წესებისა და საგზაო-სასიგნალო ნიშნების შესასწავლად და მძღოლთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად თავისი სახელობის სკოლა ჩამოაყალიბა თბილისში.

სურენ მალხასიანი სასწრაფო დახმარების მანქანაზე მუშაობდა და, მართალია, მისი მოვალეობა ავადმყოფების სასწრაფოდ გადაყვანა იყო, მაგრამ მან განიზრახა მძღოლებისთვისაც გაეწია სასწრაფო დახმარება. ამ მიზნით შექმნა სპეციალური „სკოლა“ და გამოცდების ჩაუბარებლად ურტყამდა საკუთარ „შტამპს“ მძღოლების წიგნაკში მოძრაობის წესების ჩაბარების შესახებ. კლიენტებიც დაუყოვნებლივ აბარებდნენ გასამრჯელოს „სკოლის“ უფროსის მიერ დაწესებული ნიხრის მიხედვით.

პირველ „გამოცდაზე“ სასწრაფო დახმარების გარეის მძღოლები ვაატარა. „გამოცდამ“ იოლ ფორმებში ჩაიარა. მძღოლთა წიგნაკებში შტამპითა და ხელმოწერით აღინიშნა მოძრაობის ახალი წესების ღრმა ცოდნა და, ამის საფასურად, სურენამ ცოტაოდენი „გასამრჯელოც“ მიიღო.

სურენა თავმდაბალი, მეტად უბრალო კაცია და, ამიტომაც, გასამრჯელოდ ზოგისაგან 20 მანეთს და ზოგისაგან კი 30 მანეთს იღებდა.

ნათქვამია, „წინა კაცი უკანა კაცის ხიდიო“ და ამიტომაც ერთი მეორეს ხიდად გამოადგა. ერთისაგან მეორემ შეიტყო, მეორისაგან მესამემ სურენ მალხასიანის „სკოლის“ არსებობის ამბავი და „გამოცდების ჩამბარებელთა“ რიგი დადგა. ამ საქმეში დიდი „ზრუნვა“ გამოიჩინა ვლადიმერ ფილიაურმა, რომელმაც თავი მოუყარა ჩამბარებელ მძღოლებს და ასისტენტობაც გაუწია სურენ მალხასიანს.

„გამოცდების ჩამბარებელთა“ რაოდენობამ 70 კაცს გადააჭარბა. აი ისინიც: გ. ე. ტერტეროვი, ლ. გ. ხაჩატუროვი, გ. ს. ბლუაშვილი, ა. მ. ხუმარიანი, რ. გ. წამალაშვილი, ნ. პ. მინაევი, ს. რ. ბეზარაშვილი, შ. მ. გამჭიშვილი და სხვა მრავალი.

მძღოლთათვის მოძრაობის ახალი წესების „გავლის“ პარალელურად სურენ მალხასიანმა, ვლადიმერ ფილიაურის დახმარებით, კვალიფიკაციის ამაღლების საკითხიც „მოუგვარა“ ზოგიერთ მძღოლს. მესამე კლასის მძღოლს მეორე კლასის წიგნაკი მისცა, ხოლო მეორე კლასისას — პირველი კლასისა.

ასეთ შემთხვევაში კი „გასამრჯელოს“ ოდენობამაც იმატა, მაგრამ სურენს თავისი „სინდისის“ ეთიკა არ დაურღვევია. აქაც თავისი შეხედულების მიხედვით უდგებოდა თანხის განსაზღვრას. მან თანხის მინიმუმად დააწესა 50 მანეთი, მაქსიმუმად კი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, — 100 მანეთი.

მოკლე დროში სურენ მალხასიანმა 45 კაცზე მეტს „აუშალა“ კვალიფიკაცია და მძღოლის ახალი წიგნაკები ჩააბარა. ხალხიც მაღლიერი დარჩა და თვითონაც კმაყოფილი იყო. მძღოლები რას კარგავდნენ? კვალიფიკაციის მომატებით ხელფასიც მოემატათ. რაც სურენა „მასწავლებელს“ გადაუხადეს, იმაზე მეტი სახელმწიფოს წაგლიჯეს წამატებული ხელფასის ანგარიშით.

გვინდა მკითხველებს გავაცნოთ კვალიფიკაციაამაღლებული მძღოლებიც. აი, ისინი: გ. ა. კოვალევი, ნ. პ. ჩიხლაძე, ა. ი. კოროლევი, ი. ა. სამარსკი, ვ. ლ. ჩათლაშვილი, ნ. ვ. შიუქაშვილი, ე. ზ. მოლოდინი, რ. ხ. პანიევი, დ. ბ. გუგუშვილი, გ. შ. მალალაშვილი, ა. ხ. ნანობაშვილი და სხვანი.

სურენ მალხასიანის „სკოლა“ კიდევ დიდხანს „იმუშავებდა“, რომ დროზე არ მიეგნოთ და „ლიკვიდაცია“ არ მოეხდინათ. დაიხურა „სკოლა“ და ყველა „კურსდამთავრებული“ თავისი „მასწავლებლით“ წარსდგნენ ახალი „გამოცდების“ წინაშე, სულ სხვა კვალიფიკაციის მისაღებად.

3. ნიკოლოზიშვილი

— რძე თვალთაც არ გვინახავს და ფერმის გამგე კი წერს თვეში ხუთას ლიტრს სვამენო!

ნ.ბ. ა. კანდელიასა





1862 წელი

მიმდინარე წლის სექტემბერში ქართველმა ხალხმა ზემოთ აღნიშნ დიდი ქართველი მწერლის, ქართული მწერლობის კლასიკოსის დავით კლდიაშვილის დაბადების შესუ წლისთავი.

ქვეყნები

ჩემი უბნად ჩაიხსავი შევიცი, ბნო პოლოცონეო, შენს იუბილზე დასაწყობად გამგეწაწენ და, თუ მზა ხარ, თითონ თუ ვერ მოცალო, შენი კირილე ახალე: ემ ისეთი ჩველია, არც შევსი მოაწაწენ და არც შევიკან მოეწინება.

აზუბი

ამ ჩენს ესპანეთში არ იქნა და ფაფრაკები არ გამოილია, ჩემი დონ-კიხოტი ისევ თავამეტებით ებრძვის მათ და მეც; მისი საგრილი საკმეებით რომ არ ვიყო დაკეცებული, მიხავე რისინატიტ გამაზღებოდი შენი დაბადების ასი წლისთავის ღირსეულ ზეიშუე და შენი, ალბათ, ახალი-ახალი კრიპლა „ვოლდით“ შემომგებებოდი და არა პლატონ სამინიფილის ზურგ-გადატყუებულთა ჯალაგით.

სარანბანი

შომოდოცნია, დავით ჩემო, დაბადების ასი წლისთავი შენ და მე ერთნაირი ხელი ჰქონია, ისტორიამ ჩენნი ხარჭობების გმირები „მკვდარ ხულებდალ აქცია, ჩემს კი მართად უკვდავნი ვარა.

გოგოლი

ჩემმა გმირებმა ფუტლარი დიდი ხანია მოხარო, შენი გმირები ისევ ქართული მეგობრული დეკორბაობენ, თუ „ისტორია“ ტანსაცმელით დაიარება?

ჩისოზი

შემოსილი მოხსიერებები



ზოგადი რა...
— ღმერთო მომკალია გზადო ეს ფუნობტობი შემოაოთი ის აქ?!



კირილს მიმღვებრბი...
— ემაგრს... მაგრს... შენი ბირიშე... კალი.

ბეწი

1962 წელი

კატორე სხენაზა

1882 წელს ბათუმში ჩასულა ქართველი მსახიობების დასი, რომელშიც შედიოდნენ მარამ საფარეო-აბაშიძის, კეოთ ან-დონიანელი, ვასო აბაშიძე, ლეო მესხიშვილი, სანდრო (ალექსანდრე) ყაზბეგი და სხვები. საშუალო სასწავლო ენობი მღვარ ერთ ბატარა შენობაში, რომელც ასოდე მკურნებელს რის ვეი-ველზეთი იტყუდა დასი დაიდგამს დავით ერისთავის „სამშობლო“. მოთამაშე რომ დაკლდებოდა დავით კლდიაშვილისთვის მუშობრთავი: „დავით, შენი სენისი პიესას მღვდამ და უნდა ითამაშო, შენი იქით გზა არა გეკავსო“.

დავითს თანხმობა განუცხადებია და გოგია დიაცვისი როლი დაუკისრებიათ. და ამ მიმდინარეობს წარმოდგენა. სიმონ ლეონიძის როლის განმასახიერებელი სანდრო ყაზბეგი მჭევრმეტყველური სიტყვებით ატყუებდეს მკურნებელს. დარბაზი სულგანანული უსმენს რომლი შეჭროლ სანდროს და, უცებ, უღროლოდ და უადვილოდ დარბაზში დავით კლდიაშვილი შეჭრება და სანდროს სულში „მომართავს“ ბარბაღს, წუთით გაოცება შეიპყროს სანდროს, მაგრამ არ წყვეტს სათქმელს, გამოაოთმეც ბარბაღს და სცენოდან გააქვს.

— მეც უკან გავყვი დარცხენლო, — იგონებს დავითი, — რომ ასე უღროლო დროს შემოვიჭერი სცენაზე და ასეთი სობრუეე ჩავიდნე.

ეს იყო და ეს, მეტყვერ დავითი სცენაზე არ გამოჩენილა, სა-მაგიეროდ მისი პიესები არ შორდებოდნენ სცენას.

დემის სიხარული
— შენ გენაცვალე, გრატა ხარ, ვერა...
ტის... დავახბო თავსდავი, ვინც შენ არ-
მოგიწონს!



შემოსილი სიყვარული



— პლატონ ბატონო, რამ შეგაწაწათ ახე აღრია-
ნად? — მუხეთე მზა შემეძინა, კაცო, მესუოდ და ხანა-
ხავად მოვიდე!

რამიზიან ვახსარო
— შენ არ დამენახე და სხვა ადამირი მინ-
დოდა. რა კია გუნებაზე ვიყავი შერე...





— კაცო, ერთი კვირაც არ არის, რაც იპოლიტე ციხიდან გამოვიდა და ისევ საწყობის გამგედ დანიშნეს?!

— ალბათ, პასუხისმგებლობა რომ არის ნამყოფი, იმიტომ დანიშნეს მატერიალურად პასუხისმგებელ პირად!

როგორ „დავითკია“ ბიძაჩემი

მონადირეებს ტრამპახში ღვინის მსმელები არაფრით ჩამორჩებიან, ამიტომაც მანცვიფრებდა ბიძაჩემი დათიკო, სამი ან ოთხბოთლიანი ვარო რომ იტყოდა და კაცს ეჭვი არ შეეპარებოდა.

ერთხელ მოვიდა, გადამეხვია და იმ წამსვე ღვინის სუნი მეცა.

— რანდენიანი ხარ, დათიკო ბიძა?

— არაფერი, ბიძიკო. გედევანა შეჩვენებულმა დიდ ტურს მოხდა თავი, მაგრამ სამზე მეტი არ დამიღვია.

ბიჭოს! სამბოთლიანია! პლიუს ჩემი ორიც — ხუთი. ეგებ ახლა მაინც მოვტეხო კისერი, გავიფიქრე.

ბებიაჩემმა სუფრა გავიშალა. სული არ მოვატევევინე, მივაყარე და მივაყარე ჩაის ჭიქები. ერთი, ორი, სამი, ოთხი. მერე სათვალავი ამერია და „ყანჭი — მეთქი“ გავძახე ბებიას. ბაბუაჩემის ნაქონი ოთხჭიქიანი ყანჭი რომ გადავაწოდე ბიძაჩემს, „ოო, შენ გაიხარე, ბიძიკოო“, — მითხრა და დიპზე დაირტყა ხელი.

— აწი რაღა გვიჭირს, მარჯოს ვენაცვალე, — ნიუბრუნდა ბებიაჩემს, — აი, ბიჭი სულ გათბილივლევოდა, ღვინის სმაც უსწავლია. ახლა ერთი კაი ქორწილი და მისი ჯანი.

დიდი ვაი-ვაგლახით გამოვცალე ყანჭი, მაგრამ, როგორ დავდევო, არ მახსოვს. მერე ყველაფერი, ვარდისფრად რომ მჩვენებოდა, გაშავდა და ჩამობნულდა.

შუალამისას, თქვენს მტერს, მე რომ დღე დამადგა. წაუხდი კაცი. მაწყინა. ბებიაჩემი ფანჯრები გამოაღო გასანიაველად. თავი მისკდებოდა, თვალთ მიზნულდებოდა, ციებ-ცხელებიანივით ვცახცახებდი. მაგრამ ძალია მოვიკრიბე და ბებიას შევეხვეყვე: კარი გამოხურე, ბიძაჩემმა არ გაიგოს — მეთქი.

— ნუ გეშინია, ნენა, — დამამშვიდა ბებიაჩემი, — დათიკომ, შენ რომ დაგაწვინა, ერთხანს ნარდი ითამაშა და შენდღე წავიდა, ადრე ასადგომი ვარო.

დილით ძლივს ავიტანე წელი, ისე ვიყავი დაბეველი. ახია ჩემზე. განათლებული კაცი სხვას უნდა არიგებდეს ჭკუას, ზომაზე მეტი ღვინის დაღვევა საზიანოაო, მე კი თვითონ ჩავეები ამ უსახელო ბრძოლაში.

გ. ლომიძე

ყურადღება! ყურადღება! ჩვენი მიკროფონი დგას უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდის ერთ-ერთ აუდიტორიაში. დღეს ერთმანეთს ხვდებიან გეოგრაფიის დამსახურებული ოსტატები და აბითურიენტთა ნაკრები. აი, გუნდები გამწყრივდნენ. იწყება შეჯიბრება. ახალგაზრდები ფრთხილობენ. ვეტერანები ჩვეული ოსტატობით გადადიან შეტევაზე. განსაკუთრებით აგრესიულია აუდიტორიის მარცხენა კუთხეში მჯდომი ლექტორი, მისი მოწინააღმდეგე... თუმცა დასვენების გამოტანა ჯერ ადრეა. აი, რაღაც არეულობაა, აქტიურობს გამომცდელი... რამდენიმე მარტივი კომბინაცია და... არის! აი, სულ უბრალო კომბინაცია და... ვეტერანი მაღწეული წარმატებით არ კმაყოფილდება, ჩვეული ოსტატობით აძლევს კითხვას... აკეთებს ფანდს და... არის! დიახ, ამხანაგებო, გამოცდის დაწყებიდან არ გასულა ორიოდ წუთი და ანგარიშია უკვე 2:0, 2:0 ვეტერანის სასარგებლოდ. მაგრამ ეს რა ხდება?! აბითურიენტი თავგანწირვით გადადის საპასუხო შეტევაზე.

— მკითხეთ, ბატონო, კიდეც მკითხეთ, მაგალითად ლათინური ამერიკის ქვეყნების შესახებ...

— კაი, აბა ვნახოთ, რას იტყვი ამ ქვეყნებზე?

— ლათინურ ამერიკის ქვეყნებში ძირითადად მოყავთ შაქრის ლერწამი და საუკეთესო ყავა, განსაკუთრებით ბრაზილიაში. ამ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს გაზეთები ასეთ რეკლამას უკეთებდნენ მას — „ღალიეთ ბრაზილიური ყავა. ეს ყავა ძლიერ უყვარს პელეს...“

— რაო, რაო, რა უყვარსო პელეს? სად წაიკითხე ეგ?

— ესპანურ ჟურნალში... შემდეგ „ლელოშიც“ იყო დაბეჭდილი...

— ჰო, მერე, მერე?

აბითურიენტი ოსტატურად უახლოვდება კარს... დარტყმა!..

არის! დიახ, ანგარიში ხდება 2:1. ახალგაზრდა უფრო აქტიურდება.

— პეღე ფრიად პოპულარული ფეხბურთელია. მისი ფასი სპორტულ სამყაროში რამდენიმე მილიონ პესოს აღწევს. ასობით ქალიშვილი თავაზობს ცოლობას...

— უყურე შენ!

დარტყმა! არის! ანგარიშია 2:2. აბითურიენტი მთელი თავგანწირვით გადადის შეტევაზე.

— ჩვენი მიზა მესხი არაფრით არ არის გარინჩაზე ნაკლები, მაგრამ მარტო მიზა ვერაფერს ნიშნავს. ღმერთო, ხომ ასეა?

— მაგალითად სწორედ საქმე!

დარტყმა... კიდეც დარტყმა! არის!.. დიახ, მეგობრებო, გამოცდის დაწყებიდან გასულა სულ ოთხნახევარი წუთი და ანგარიშია უკვე 3:2, 3:2 აბითურიენტის სასარგებლოდ.

ინიციატივა სულ ახალგაზრდის ხელშია. ახალგაზრდულ ენერჯიას თავისი გააქვს. ის ახალ-ახალ შეტევაზე გადადის.

— მაგალითად ახლა მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში, რომელიც მოეწყო ჩილიში... ჩილი ჩამორჩენილი ინდუსტრიული ქვეყანაა...

— მოიცა, კაცო, ჯერ ის დაამთავრე, მსოფლიო ჩემპიონატი...

დარტყმა! არის! ზუსტად გათვალისწინებული და ოსტატურად გათამაშებული კომბინაცია მიზანს აღწევს. ანგარიში ხდება 4:2. 4:2 აბითურიენტის სასარგებლოდ...

— ახლა ჩილიში ჩვენი გუნდი ძალიან კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მწვერთელთა კოლექტივის მიერ იქნა დაშვებული შეცდომა...

— აგაშენა ღმერთმა, მეც ზუსტად მაგ აზრისა ვარ!

— თორემ ჩვენი გუნდი იმდენად კარგ ფორმაში იყო, რომ ნამდვილად მოუგებდა ჩილის ნაკრებს, რომლის სოფლის მეურნეობაა...

— შენ, რასაც გეკითხებიან, იმაზე გამეცი პასუხი!

— დიახ. მოუგებდა და ფინალშიც გავიდოდა. ასე არ არის, ბატონო?

— ზუსტად ასეა!

დარტყმა და არის! დიახ. ამხანაგებო, ანგარიში იზრდება ხუთამდე. აბითურიენტმა შესანიშნავი ტაქტიკური მომზადება გვიჩვენა. მან დამსახურებულად მიაღწია გამარჯვებას. გამარჯვებასო იმიტომ ვამბობთ, რომ ახლა ყოვლად შეუძლებელია ანგარიშის გათანაბრება.

დიახ, აი, ლექტორი იღებს კალმისტარს და საკუთარი ხელით წერს საგამოცდო ფურცელში ხუთიანს.

ამით ვამთავრებთ რეპორტაჟს მისაღები გამოცდებიდან, გადაცემა მოაწყო „ნიანგის“ უკანასკნელ ცნობათა რედაქციამ, გადაცემა მიჰყავდა **ზ. გემალაშვილს**



ლიეტაზე „გადავიდნენ“.

რესტორან „გაზაფხულის“ დირექტორი ჭიჭიკო სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის მისცეს პასუხისმგებლობა.

ამ ამბავმა ბევრი ააღელვა — სასადილოების ტრესტის მმართველი, მისი მოადგილე, კადრებისა და საგემო განყოფილებათა გამგეები, მთავარი ბუღალტერი და სამივე ინსპექტორი.

მმართველის კაბინეტში სასწრაფოდ მოიწვიეს თათბირი. დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა: „ვინ დაინიშნოს რესტორნის დირექტორად?“ „ადრე, რა თქმა უნდა, მე არავის დავეციტებოდი, იმას დავნიშნავდი, ვისაც მსუქანი ჯიბე ექნებოდა, მაგრამ, ახალი კანონების მიხედვით, ეს საშიშია. ამიტომ ამ საკითხის გადაჭრა კოლექტიურად მომიხდება“, — ფიქრობდა მმართველი და დაუსრულებლად იფხანდა კეფას.

დიდხანს მჭობდნენ და, ბოლოს, ყველა ერთ აზრამდე მივიდა: — სანამ შემდგომ ორგანოებს ვინმე არ გამოუგზავნიათ, დირექტორად მებუფეთე დომენტი იაკობაშვილი წამოგვითო.

იგი ყოველმხრივ შესაფერია: ახალგაზრდაა, ჯანღონით სავსე, დიდი ხანია მუშაობს საზოგადოებრივი კვების სისტემაში და, რაც მთავარია, დამთავრებული აქვს პედაგოგიური ინსტიტუტი.

იმავლე დღეს ხელმოწერილ იქნა ბრძანება.

ინსპექტორებმა გადაწყვიტეს საღამოსათვის რესტორანში შეველოთ. მათ ცალკე გაიხმეს დომენტი და ჩურჩულით ამცნეს ახალი ამბავი: „დირექტორად გინიშნავენ, მაგრამ... კადრებისა და საგემო განყოფილების გამგეები რატომღაც ყოყმანობენ. საქმეს მაგიდის ძალა აკლიათ...“

იმწამსვე გაისმა თორმეტი შამბანურის საზეიმო სალუტი. წავიდა სადღეგრძელოები.

— მმართველის „ვოლგა“, — უჩურჩულა მაქსიმე ოფიციალტმა დომენტის.

ფართოდ გაღებულ კარებში მთავარი ბუღალტერი, მმართველის მოადგილე და მმართველი გამოჩნდნენ.

— მიიღე სტუმრები, გენაცვა, დაწინაურება უნდა ვიზეიმოთ, — მხიარულად შესძახა მმართველმა და უზომო ღიპზე მსუქანი თითები აათამაშა.

— ძაან კაი ბიჭია დომენტი, — ამბობდა მმართველი და ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე თავისი ძმა-ბიჭებით. მას არც სხვები ჩამორჩებოდნენ. ერთი თვის შემდეგ მმართველის კაბინეტში ისევ სასწრაფოდ შეიკრიბნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“.

— ქურდბაცაცა, მაიმუნი, ვივინდა — რა დომენტია თუ ვილაცა ოსერია, ესეც გამფლანგველი არ ყოფილა? ჩორტ ვაზში! ნუთუ პატიოსანი შრომით არ შეეძლო ლუკმაპურის მოენა? — აღშფოთებული დომენტებს ყრიადა მმართველი.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, ჯანდაბას დომენტის თავი, საქმეს მივხედვით, სანამ შემდგომი ორგანოები არ გამოგვიგზავნიან... — შემოიტანა წინადადება კადრების განყოფილების გამგემ.

ამჯერადაც მმართველის კანდიდატურა ყველას მოეწონა. მას მოაგონდა, რომ რესტორნის გვერდით არის აბანო და რომ იქ მექისედ მუშაობს ვართანა. „ახალგაზრდა განათლებული კაცი, სავაჭრო ტექნიკუმი აქვს დამთავრებული, უმუშავნია ოფიციალტად, დალაქად“, ბრძნულად განსაჯა მმართველმა.

— სწორია, ნამდვილად სწორია, შესაფერი კაცია. — თანხმობის ნიშნად ყველა ასკილივით უქნევდა თავს, — სად ვიყავით ამდენ ხანს?

რ. ლავროვი

გ უ ლ ე ა ვ ი წ ყ ი

ჩემმა გულმავიწყმა მეზობელმა უკანასკნელ ორ თვეში მოაწყო რამდენიმე ხანძარი და შვიდი წყალდიდობა. მთელი სახლი ერთ ცეცხლში იწვოდა და, არ ვიცოდით, რა წყალში ჩავვარდნილიყავით. მოდი და გაარკვიე ახლა, როდის დარჩება მეზობელს გამოურთველი ელექტროქურა, ან ონკანი ღია.

მეზობლის წყალობით სახანძრო რაზმმა თავისი ფილიალი ჩვენს სახლში გახსნა.

რაოდენ ტრაგიკული იყო მის მიერ მოწყობილი წყალდიდობა, თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს სახლში მცხოვრებთა 75 პროცენტმა ცურვა არ იცის. რა ვქნათ ჩვენ, დარჩენილმა 25 პროცენტმა,

როცა ასეთ სტიქიურ უბედურებასთან გვაქვს საქმე. აი რა იყო ჩვენი ყოველდღიური თავსატეხი.

ბოლოს, ასეთი მოულოდნელობისაგან იმით დავიცავით თავი, რომ წყალსადენები გადავკეტეთ და ელექტროდენი მთელ სახლში გამოვთიშეთ. ახლა არაფერს არ შეეძლო დაერღვია ჩვენი სახლის სიმშვიდე და მყუდროება.

მაგრამ ერთ დღეს მეხვივით გავარდა მოწმენდილ ცახე ცნობა, ცნობა, რომელმაც შეაწრიალა ჩვენი სახლის მცხოვრებლები, შესძრა და მოსვენება დაუკარგა მათ.

ჩვენს სახლში გაზი გაპყავთ.

ნუკრი ლელაშვილი

კ ა ნ დ ა ნ ა ა ზ ა ვ ა

პრაპტიკოსი

წინდახელული

მალაზის გამგე კუმ ძნაკაცს უთხრა: — აფთარო, ფული ბლომად მაკლია, რა ექნა, როგორ დაფარო? — გინდა ფული გაგიჩნდეს? მე გასწავლი, შემოდი, მალაზის ხელახლა გაუკეთე რემონტი!

ძუნწმა მელამ ერთხელ დაპრაპტიკა დათვი, ამშვენებდა სუფრას ზღმარტლი, წაბლი, თაფლი. საქციელი ძუნწის გაუკვირდა ყველას, თურმე დათვთან სურდა სამსახური მელას!

ა. გოგიაშვილი




რედაქტორი ნ. ზველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. კელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-89, საერთო განყოფილების — 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 17/IX-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1781, უფ 09201 ტირაჟი 40.000



ნახ. გ. ლომიძის

დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი ბრუნტო მუქი
რება და პროვოკაციული სიტყვებით გამოდის გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.



ომის კერა დასავლეთ ბერლინში და მისი
გამჩაღებლები.

